პროლეტარებო, უფლა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 271 (13356) | ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

გეგმაც, მოგებაც

ქუთაისი. (საკ. კორ.). № 8 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების აღსანიშნავად შრომითს ვახტზე დგას და ყოველდღიურად აძლიერებს მუშაობის ტემპს.

მკერავებმა ვადაზე თორმეტი დღით ადრე შეასრულეს ათი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით, ნოემბრის ანგარიშში, 28 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, ამასთანავე განვლილ პერიოდში რეალიზაციის დავალება 105.7 პროცენტით გაანადღეს.

ქუთაისელ მკერავთა გადაწყვეტილებაა წლიური დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულონ 15 დეკემბრისათვის, ხოლო 1966 წლის პირველი კვარტალისა — 20 მარტისათვის.

მელოკომოტივეთა ნარმატება

ხაშური. სალოკომოტივო დეპოს კოლექტივს მტკიცედ უჭირავს პირველობა ამერკავკასიის რკინიგზის მოხათასეულ საწარმოთა შორის. მეორე კვარტალში მოპოვებული გარდამავალი წითელი დროშა მან მესამე კვარტალშიც შეინარჩუნა. ამ დღეებში გზის სამმართველოს სალოკომოტივო სამსახურის უფროსმა დ. კაკაბაძემ სახელმძღ. გადასცა ხაშურის დეპოს „მაღალი კულტურის საწარმოს“ სატიტო სიგელი, რომელიც მინიჭებულ სამმართველომ და პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა.

მელოკომოტივეებმა ათ თვეში გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 351.400 ტონა ტვირთი, დაზოგეს 27 ათასი მანეთის ელექტროენერგია, სახელმწიფოს მისცეს 199 ათასი მანეთი მოგება.

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობისადმი ფესტივალურად

დაზოგილი მილიონები

რუსთავი. (საკ. კორ.). „ქარხნის საუკეთესო რაციონალიზატორ“ — ასეთი სტენდი „გაკეთებული მეტალურგიული ქარხნის შესასვლელთან. ფოლადსამსხმელო საამქროს ტექნიკური აზრის ადამიანებმა გამოიყენეს ეფექტიანად ყვითელი წიდა, რომელიც წინათ ნარჩენების სახით ეყრებოდა. ყვითელი წიდის გამოყენებით საამქროს კოლექტივს საშუალება მისცა თვითეულ დნობაზე 184 კილოგრამი ფერომარგანეცი დაზოგოს.

საგლინავ საამქროში კი მილების გამზადებისას ეცილური გაშენდის გამოყენებით ყოველწლიურად 200 ათას მანეთ ეკონომიას მიაღწევენ.

რაციონალიზატორების რიცხვი ქარხანაში სისტემატურად იზრდება. ახლა აქ 1.000-ზე მეტი გამომგონებელია. განსაკუთრებით გამოირჩევიან თავიანთი მუშაობით მეტალურგები ვ. გიგიბერია, ე. მეტრეველი, ვ. ატარიანი, ა. კიკნაველიძე და სხვები.

გამოთვლილია რაციონალიზატორთა მიერ განხორციელებულ წინადადებათა ეკონომიური ეფექტი. მიმდინარე წლის ცხრა თვეში იგი ერთ მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს.

ორი თვით ადრე

სიღნაღი. (საკ. კორ.). სამი საძროხე, ორი სახბორე, ორი საფრინველე, ხუთი საღორე, ოთხი ცხვრის ბინა, ბევრი რამ აამენა მიმდინარე წელს სიღნაღის საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭოს (თავმჯდომარე ვ. გეფოშვილი) კოლექტივმა. კოლმეურნეობებში 782 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შეასრულებინათ. ფაქტიურად 789 ათასი მანეთის სამუშაოები შესრულება.

საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭოს კოლექტივმა დამატებით წლის ბოლომდე ასი ათასი მანეთის სამუშაოების შესრულება იკისრა.

ოქროს რთველი

მახარაძე. (ტელეფონით საკ. კორ.). ოქროს რთველი რაიონში პირველმა ურეკის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი შ. გოგუაძე) დაიწყო. კარგად მოვლილმა ციტრუსოვანთა ხეებმა წელს ნაყოფი უხვად მოისხა. ყოველდღე იკრიფება 100 ტონამდე მანდარინი.

მანდარინის მოსავლის აღებაში პირველი დღიდანვე დაწინაურდა აგროგანყოფილება, რომლის უფროსია შ. გოგოლიშვილი. აქაური მუშები ლ. ჩინჩალაძე, ნ. ნავგუსი, მ. სტრალეკი მანდარინის კრეფის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ.

ოქროს რთველს შეუდგა აგრეთვე ნატანების ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობა. ურეკის შემფუთავი ქარხანა ყოველდღიურად 25 ტონაზე მეტ მანდარინის ნაყოფს ამუშავებს.

საბჭოთა სტუდენტი

ულ ხუთიოდე წელიწადი განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე ღირსსახსოვარ პერიოდს, რასაც ჰქვია სტუდენტობა. მაგრამ ეს მოკლე დრო ადამიანის სიცოცხლის ისეთი ღრმა და კეთილი ხნულია, რომ მას ველარაფერი ველარ შლის.

ყველა დროში სიამაყითა და პატივისცემით წარმოითქმებოდა სიტყვა „სტუდენტი“ და ამ წოდების მატარებელი ახალგაზრდა მუდამ ყოფილა საზოგადოებაში პატივდებული; ასეა ახლაც. უფრო მეტიც — ეს პატივისცემა იმითაც არის გამოხატული, რომ არსებობს სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი, და დაწესებულია სტუდენტთა საერთაშორისო დღე, რომელსაც 17 ნოემბერს აღნიშნავს დედამიწის ყველა კონტინენტის ახალგაზრდობა.

მჩქეფარე ახალგაზრდული დღესასწაული მდელვარედ შემოდის დღეს ჩვენს დიდ სოციალისტურ ქვეყანაში კომუნიზმის მშენებელ ხალხთა შვილების გულის გასახარად.

ჩვენი ქვეყნის მადლიერი სტუდენტი ახალგაზრდობა სალამის პირველ სიტყვას უგზავნის დიად ლენინურ კომუნისტურ პარტიას, რომელმაც გზა გაუხსნა ნათელი მომავლისაკენ, ყოველგვარი პირობები შეუქმნა ნიჭისა და შესაძლებლობის გაფურჩქნისათვის. კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის სამ მილიონ 608 ათასი სტუდენტი ეუფლება მეცნიერებას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კულტურის ფრონტზე გამოსაყენებელ სპეციალობებს.

დიდია ამ არმიის როლი და ამოცანები, რადგან იგი იმყოფება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლის მიჯნაზე. ამიტომაც არის, რომ ჩვენს სტუდენტობას დიდად უჭერს მხარს სახელმწიფო. ეს არის არა მარტო უფასო სწავლება, არამედ მძლავრი სასტიპენდიო ფონდი, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკები, საერთო საცხოვრებლები და სპორტული კომპლექტები.

საბჭოთა ქვეყნის სტუდენტი ახალგაზრდობის ხმა გაისმის შორს, სულ უფრო და უფრო მაღლდება მისი ავტორიტეტი. საერთაშორისო სპორტულ შეხვედრებზე, ოლიმპიურ თამაშობებზე თუ საფესტივალო ფორუმებზე — ყველგან ყოველთვის მოჩანს ჩვენი სტუდენტობის ფიზიკურ-სპორტული სრულყოფილობა, ბრწყინვალე ნიჭი ხელოვნისა. მას მშვიდობისა და მეგობრობის მართალი ხმა მიაქვს მსოფლიოს ახალგაზრდობის გულამდე. ამ ხმას სიმპათიით უგდებენ ყურს საზღვარგარეთის თანატოლი მოწინავე სტუდენტი ახალგაზრდები, ესწრაფვიან ხალხთა შორის მშვიდობას, ითვლებიან მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლებად.

საბჭოთა უმაღლესი სკოლის მაღალ ავტორიტეტზე, მის მსოფლიო სახელზე მეტყველებს ისიც, რომ დიდი მისკენ უცხოელი ახალგაზრდების ლტოლვა. მარტო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე 1.500-ზე მეტმა უცხოელმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა დაამთავრა, მათგან 400 კაცმა დაიცვა დისერტაცია და მიიღო მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მსოფლიოს 119 ქვეყნის 28 ათასზე მეტი უცხოელი იღებს საბჭოთა კავშირში უმაღლეს განათლებას.

ჩვენი ქვეყნის მჩქეფარე სტუდენტურ ცხოვრებას ფეხს უწყობენ მზიური საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა ჭაბუკები და ქალიშვილები, შრომასა და სწავლაში რომ ასახელებენ დედა-სამშობლოს. ჩვენს რესპუბლიკას ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა შეფარდებითი რიცხვით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, პოლიტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, პედაგოგიურ ინსტიტუტებს ფართოდ იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კი ცნობილია მთელ მსოფლიოში.

რესპუბლიკის 18 უმაღლეს სასწავლებელში 76 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ხალხი, ქვეყანა იმედის თვალს მიაპყრობს მათ — კომუნიზმის მომავალ მშენებლებს, ჩვენი საზოგადოების აქტიურ წევრებს.

ჩვენმა ახალგაზრდობამ იცის, რომ სტუდენტობა ადგილი როდია, და მას სამართლიანად დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. სტუდენტობა — ეს არის ბეჯითი შრომა, შეუპოვარი მეცადინეობა არა მარტო ცოდნის შესაძენად, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამოსამუშავებლად. დღევანდელი სტუდენტი ხვალ ინჟინერი და ექიმი, პედაგოგი და აგრონომია, ეკონომისტი და ფიზიკოსია... ხვალ მან დამოუკიდებლად უნდა აშენოს, უმკურნალოს, ასწავლოს, ახვნევინ-ათესინოს, ამოხსნას დამოუკიდებლად. ისე, რომ მის გვერდით აღარ იქნება პროფესორი, მასწავლებელი. იგი პირისპირ უნდა შეებას ცხოვრებას, რომელიც სწორ პასუხს მოითხოვს ყოველ წამოჭრილ კითხვაზე. ეს შეუძლებელია ისე. თუ ნაყოფიერად არ დაიბარჯა სტუდენტობის წლები.

უმაღლესი სასწავლებელი, სტუდენტობა აღზრდის უპირველესი ადგილი და პიროდია. აქ ყალიბდება ადამიანი ხაბოლოოდ. მთელი თავისი რული თვისებებითა და ხასიათით, აქ ყალიბდება ადამიანში საკუთარი თავისა და მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.

სტუდენტობა ახალგაზრდობის ის მჩქეფარე პერიოდია, როცა ადამიანს ძალუძს გადალახოს ფიზიკური სიძნელეც. შეიგრძნოს მანამდე შეუცნობელის ამოხსნის სიამოვნება, რაციონალურად გამოიყენოს დრო მნიარული, გონივრული გართობისა და დასვენებისთვისაც.

უმაღლესი სასწავლებელი ჩვენი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისათვის ახალგაზრდობის აღზრდის გაშლილი ასპარეზია, ეს ყველაზე ნოყიერი ნიადაგია იმ კეთილი მარცვლის გასაღივებლად და აღმოსაცენებლად, რასაც ჰქვია ადამიანის სრულყოფილობა, ადამიანის ცხოვრებაში გასასვლელად მომზადება.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ტალანტიანი ადამიანების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის ზვირთები სულ უფრო უახლოვდება კოლონიალიზმის უკანასკნელ ბურჯებს.

საბჭოთა მთავრობა სავსებით იზიარებს აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის გადაწყვეტილებებში გამოთქმულ აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების აზრს, იმის შესახებ, რომ ინგლისის მმართველი წრეები ვერასოდეს ვერ მოიხსნიან პასუხისმგებლობას აფრიკელი ხალხების წინაალმდეგ ჩადენილი ამ დანაშაულისათვის, ზიმბაბვეს ხალხის ეროვნული ტრაგედიისათვის, რომელიც მრავალი წელია შეუპოვრად იბრძვის თავისი უფლებებისათვის.

ახლა დიდი ბრიტანეთის მთავრობა სიტყვიერად გმობს სამხრეთ როდეზიის ხელისუფალთა მოქმედებას, სთხოვს უშიშროების საბჭოს განიხილოს სამხრეთ როდეზიის საკითხი. მაგრამ ცხადია, რომ ინგლისის მთავრობის ეს განცხადებანი გაბედავდნენ თავიანთი დანაშაულებრივი გეგმების განხორციელებას, რომ არ შეთანხმებოდნენ კოლონიზატორებს, რომლებმაც საშუალება მისცეს სოლსბერის რასისტულ რეჟიმს ამ ბოლო წლებში განმტკიცებულიყო ეკონომიურად და სამხედრო თვალსაზრისით, და ყოველნაირად ეხმარებოდნენ ამ რეჟიმს. ამ დანაშაულს ვერ ჩაიდენდნენ, რომ ამისათვის ხელი არ შეეწყოთ ნატოს წევრი სხვა ქვეყნების მთავრობებსაც, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. რასიზმის კიდევ ერთი კერის შექმნა — ამჯერად სამხრეთ როდეზიაში — იმპერიალისტური წრეების ერთ საერთო გეგმის ნაწილია, რომ ხელი შეუშალონ აფრიკელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის ზვირთები სულ უფრო უახლოვდება კოლონიალიზმის უკანასკნელ ბურჯებს.

სამხრეთ როდეზიის რასისტული რეჟიმი საფრთხეს უქმნის აფრიკის ყველა სხვა ხალხსაც. მათ შორის იმათაც, რომლებიც უკვე განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან. ეს არის განთავისუფლებული აფრიკის გულში დამონებული ხიშტი. იგი მუდამ უქმნის საფრთხეს მშვიდობას აფრიკის კონტინენტზე. უქმნის საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობას.

რასისტების მიერ სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებამ დიდი პროტესტები გამოიწვია მთელ მსოფლიოში, სახელმწიფოები ზედიზედ აცხადებენ, რომ არ ცნობენ სმიტის დანაშაულებრივ რეჟიმს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 11 ნოემბერს დაგმო სამხრეთ როდეზიის ხელისუფალთა ეს აქცია და წინადადებით მიმართა ინგლისს დაუყოვნებლივ განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება, შეიარაღებული ძალაც კი გამოიყენოს იმისათვის, რომ ბოლო მოუღოს ერთი მუჭა გათავხედებულ რასისტთა მოქმედებას და ძალაუფლება გადასცეს მთავრობას, რომელიც ნამდვილად იქნება ზიმბაბვეს ხალხთა ნების გამომხატველი. მეორე დღეს შეკრებილმა უშიშროების საბჭომ მოუწოდა ყველა ქვეყანას პირველი რიგის ღონისძიებად განახორციელონ ის, რომ არ ცნონ სამხრეთ როდეზიის უკანონო რასისტული რეჟიმი და არ გაუწიონ მას რაიმე დახმარება.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც ხელმძღვანელობს თავისი პრინციპული პოზიციით კოლონიალიზმის ლიკვიდაციის საკითხებში, გადაჭრით გმობს ახალ დანაშაულს აფრიკის ხალხთა წინააღმდეგ და აცხადებს, რომ არ ცნობს რასისტულ რეჟიმს. რომელმაც მოახდინა ძალაუფლების უზურპაცია სამხრეთ როდეზიაში. საბჭოთა კავშირი სავსებით უჭერს მხარს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებს სამხრეთ როდეზიაში შექმნილი მდგომარეობის საკითხზე და განუხრელად შეასრულებს მათ.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც მუდამ ერგულად იცავს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდამჭერის თავის პოლიტიკას, სრულ სოლიდარობას უცხადებს ზიმბაბვეს ხალხს და კვლავ ადასტურებს, რომ მზად არის ოთანამშრომლოს აფრიკის ქვეყნებთან, ყოველნაირად გაუწიოს მათ დახმარება ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის სამართლიან ბრძოლაში.

17 ნოემბერი სტუდენტთა საერთაშორისო დღეა

17 ნოემბერს ზეიმით აღინიშნება სტუდენტთა საერთაშორისო დღე. ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა შ. ჩხეტიანმა გუშინ გადაიღო, აღბეჭდილია სტუდენტთა ერთი ჯგუფი; ისინი სწავლობენ თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. (მარცხნიდან მარჯვნივ) — პირველ რიგში: უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტები ი. ნორეიკო, ლ. კალინინიჩენკო; საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ე. ცოგეხია, ნ. ჯიგღაშვილი, რ. ტომასიანი; სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები თ. შამილი, ს. ბიხონოვა, ნ. ჭავჭავაძე, ზ. გამსახურდია; მეორე რიგში: უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტი მ. ქანთარია; საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ვ. გოგეჯიშვილი, ჯ. გოგეჯიშვილი, თ. ჭელიძე, ჯ. აბაშიძე, ვ. ადამია; სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები ი. ბარნაბიშვილი, ნ. მანჯგალაძე და თ. ლუცენკო.

ხელი ხელს — მეგობრებო!

მსოფლიოს პროგრესული ახალგაზრდობა აღნიშნავს თავის დღესასწაულს — სტუდენტთა საერთაშორისო დღეს. ეს არის ახალგაზრდული ძალების, შემოქმედებითი ნიჭისა და გაქანების, ყველა კონტინენტის მოწინავე სტუდენტთა სოლიდარობის, ხალხთა შორის მშვიდობისათვის ბრძოლის დათვალიერების დღე.

ამაზეც მეტყველებენ ქვემოთ მოყვანილი ციფრები და ფაქტები.

☐ სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი — სტუდენტთა ყველაზე ავტორიტეტული და წარმომადგენლობითი ორგანიზაცია დედამიწის ყველა კონტინენტის თითბით ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობის 78 ეროვნულ კავშირსა და ასოციაციას აერთიანებს.

☐ საბჭოთა კავშირში ამჟამად სამ მილიონზე მეტი სტუდენტია. მათი ნახევარი დღის განყოფილებაზე სწავლობს.

☐ საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სასწავლებლებმა ამ ბოლო 10-12 წლის მანძილზე მოამზადეს 27 ათასზე მეტი უცხოელი სპეციალისტი. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა 1.500-ზე მეტმა უცხოელმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა, მათ შორის 400 კაცმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ახლა ჩვენში უმაღლეს განათლებას იღებს მსოფლიოს 119 ქვეყნის 23 ათასზე მეტი უცხოელი.

☐ მიმდინარე წლის ზაფხულის არდადეგების დღეებში 300 ათასამდე საბჭოთა სტუდენტი მუშაობდა დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მათთან ერთად შრომობდნენ უცხოელი სტუდენტებიც. 17 ქვეყნის სტუდენტები მუშაობდნენ, მაგალითად, ამაკან-ტაიშეტის გზის დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე.

☐ საზღვარგარეთის ათი ათასზე მეტმა ახალგაზრდამ არდადეგები გაატარა საბჭოთა სტუდენტებთან ერთად სანატორიუმებში. ინტერხაციონალურ სახლებსა და შრომისა და დასვენების ბანაკებში.

☐ აფრიკის 40 ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც განათლებას იღებენ მოსკოვში, მონაწილეობა იღეს მუდმივი სემინარისა „საბჭოთა კავშირი და ახალი აფრიკა“. ახალგაზრდათა და ქალთა მოძრაობა, ეროვნული ეკონომიკის, კულტურის განვითარების პერსპექტივები, ხალხთა ურთიერთობა, მათი ერთობლივი ბრძოლა მშვიდობისათვის — ასეთია ის პრობლემები, რომლებსაც ამ სემინარზე სწავლობენ სახლვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

სამხრეთ როდეზიაში შექმნილი მდგომარეობის გამო

კოლონიზატორებმა ახალი დანაშაული ჩაიდინეს აფრიკის ხალხების წინააღმდეგ. 11 ნოემბერს იან სმიტის რასისტულმა რეჟიმმა გამოაცხადა სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობა“. ამ მოქმედების მიზანია დაამკვიდრონ სამხრეთ როდეზიაში კოლონიური წესწყობილება, რომლის საფუძველზეც ერთი მუჭა რასისტები ულმობლად ჩაგრავენ ზიმბაბვეს ოთხმილიონიან ხალხს და სასტიკად ახშობენ ამ ხალხის სამართლიან ბრძოლას ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობისათვის. კოლონიზატორებმა და რასისტებმა ერთხელ კიდევ სცადეს განამტკიცონ კოლონიურ-რასისტული ბასტიონი აფრიკის კონტინენტის სამხრეთ ნაწილში.

თეთრკანიანმა რასისტებმა თავიანთ „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ გადააქციეს სამხრეთ როდეზია, რითაც კოლონიალიზმმა აბუჩად აიგდო ამ ქვეყნის ხალხი, რომელიც მრავალი წელია მამაცურად იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აბუჩად აიგდო აფრიკისა და მთელი მსოფლიოს ხალხები. კოლონიზატორებმა ანგარიში არ გაუწიეს ხალხთა ნებას, რომელიც გამოთქმულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიულ დეკლარაციაში კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბევრ გადაწყვეტილებაში, რომლებიც გმობენ სამხრეთროდეზიელი რასისტთა მოქმედებას და მოითხოვენ ნამდვილი დამოუკიდებლობის მინიჭებას ზიმბაბვეს ხალხისათვის.

სამხრეთროდეზიელი რასისტები ვერ გაბედავენ ასეთ ნაბიჯს, თუ ინგლისის მთავრობა ეს ნაბიჯი ადრევე ... ინგლისის ... ეს ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

მეგობრობის აპოთეოზატაციილი

ქაბული. 15 ნოემბერს კანდაგარში გაიმართა კუშკა-ბერატ-კანდაგარის ავტოგზატაციილის გახსნის საზეიმო ცერემონია. ეს გზატაციილი საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით აშენდა. ცერემონიაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი.

საზოგადოებრივ სამეუნოთა მინისტრმა ამმადულამ, რომელიც ავტომაგისტრალის გახსნაზე გამოვიდა, აღნიშნა, რომ ახალი გზატაციილი ხელს შეუწყობს ავღანეთის შემდგომ სოციალურ და ეკონომიურ პროგრესს.

საბჭოთა მთავრობა, განაცხადა თავის სიტყვაში კ. ტ. მაზუროვმა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობას. საქმიანი თანამშრომლობა, რომელიც სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის ვითარდება, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობის ნიმუშია.

ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰმ, რომელმაც თავისი და ავღანელი ხალხის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობასა და ხალხს მეგობრული დახმარებისათვის. (საკდესი).

◆

საბჭოთა გამოფენის წარმატება

ტოკიო, 15 ნოემბერი. (საკდესი). 100 ათასამდე კაცმა დათვალიერა გამოფენა „კოსმოსის ათვისება სსრ კავშირში“, რომელიც გუშინ ტოკიოში დაიხურა. დამთვალიერებლები დიდი ინტერესით გაეცნენ საბჭოთა კავშირის მიღწევებს ამ დარგში. ზოგიერთ დამთვალიერებელს ბედმა გაუღიმა: მათ არა მარტო ნახეს დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკი“, არამედ აგრეთვე შეხვდნენ საბჭოთა კოსმონავტებს ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვას და ანდრიან ნიკოლაევს, რომლებიც ამას წინათ იაპონიაში იყვნენ.

გამოფენის ორგანიზატორებმა — გაზეთმა „მაინიჩიმ“ და იაპონიის ჰეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საზოგადოებამ გადაწყვიტეს კიდევ სამი თვით გაგრძელონ გამოფენის მუშაობის ვადა და იაპონიის სხვა ქალაქებში უჩვენონ იგი. დღეს გამოფენის ექსპონატები გაგზავნეს ქალაქ კიტაკიუსიუში. შემდეგ მათ გაეცნობიან ოსაკისა და საპოროს მცხოვრებლები.

◆

პირველი მოსამართლე ქალი დაგომეიაში

კოტონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). დაგომეის ისტორიაში პირველად მიენიჭა ქალს სახელმწიფო მოსამართლის სამატო წოდება. დღეს საზეიმო ვითარებაში გაიმართა ამ წოდების მინიჭების ცერემონია. სახელმწიფო მოსამართლის წოდება მიენიჭა ფანეონს. ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფო პროკურორმა გბენუმ, რომელმაც თქვა, ფანეონის წარმატებანი მაგალითია დაგომეის ყველა ქალებისათვისო.

სამხრეთ როდეზიის პრიზისი, ამერიკის მანევრი

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ უმიშროებას საბჭო კვლავ იხილავდა სამხრეთ როდეზიის კრიზისს, რომელიც შეიქმნა სმიტის რასისტული რეჟიმის მიერ ძალაუფლების უზურპაციასთან დაკავშირებით. სამხრეთ როდეზიაში შექმნილ მდგომარეობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, საბჭოს წევრების გარდა, იხილავს აფრიკის 11 სახელმწიფო — ალჟირი, განა, ზამბია, სიერა-ლეონე, სენეგალი, მალი, ტანზანია, ნიგერია, გვინეა, მაკრიტანია და გამბია, აგრეთვე ინდოეთი, პაკისტანი და იამაიკა.



მაკრიტანიის ელჩმა აპმედ-ბაბა მისკემ გამოთქვა რწმენა, რომ ინგლისის ეკონომიურ ღონისძიებებს სამხრეთ როდეზიის წინააღმდეგ არ მოჰყვება სმიტის უკანონო რეჟიმის კრახი. ისედაც შეზღუდული ეს ღონისძიებანი, დასძინა მან, არარად იქცეოდა დახმარების მეოხებით, რომელიც სოლსბერის რეჟიმს შეუძლია მიიღოს საბრძოლ აფრიკის რესპუბლიკისა და პორტუგალიისგან.

მაკრიტანიის დელეგატმა პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობისათვის ინგლისს დააკისრა.

პასუ რეიესმა (ურუგვაი) გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ სამხრეთროდეზიელი რასისტების ასალეგმაგად გამოიყენონ შეიარაღებული ძალა.

გამბიის დელეგატმა ნჯიემ მოითხოვა, რომ საბჭომ რაც შეიძლება მალე მიიღოს „ეფექტიანი რეზოლუცია“.

როგორც ცნობილია, საბჭომ 12 ოქტომბერს გადაწყვიტა სხდომებში მონაწილეობისათვის მოიწვიოს პორტუგალიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელნი, რათა მოსთხოვოს მათ გამბარტება, თუ რატომ მისცენ გენერალურ ასამბლეაში ხმა იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც გმობს სმიტის რეჟიმის უკანასკნელ აქციას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა გუშინ — მართალია, მხოლოდ სსრ კავშირის წარმომადგენლის ნ. ტ. ფედორენკოს შეკითხვის შემდეგ, — რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ უარი თქვა საბჭოს მუშაობაში მონაწილეობაზე, ხოლო პორტუგალიას დღემდე არავითარი პასუხი არ მოუცია.

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ შეერთებული შტატების დელეგაციამ მიმართა მანევრს ვიეტნამიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში, რათა ხელი შეეშალა იმისათვის, რომ გენერალური ასამბლეის XX სესიამ აღადგინოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავსტრალიის, ბრაზილიის, კოლუმბიის, გაბონის, იტალიის, იაპონიის, ფილიპინებისა და ტაილანდის დელეგაციებთან ერთად შეიტანეს პროექტი რეზოლუციისა, რომელიც შეიცავს წინადადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „ჩინეთის წარმომადგენლობის შეცვლის“ საკითხი გადაწყდეს ხმების ორი მესამედით და არა უბრალო უმრავლესობით.

რეზოლუციის პროექტი მოითხოვს დაადასტურონ გადაწყვეტილება, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავს მოახვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიას.

პატრიოტები მოქმედებენ

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. (საკდესი). დღეს რკინიგზის შემადგენლობა ააფეთქა ნაღმმა, რომელიც ჩადეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი დანანგიდან იტყობინება, ეს მოხდა 4 მილზე ამერიკის უდიდეს დანანგის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან, რომელსაც საგულდაგულოდ იცავენ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები.

ლონდონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა დღეს ორი ასეულის ძალიან კვლავ შეუტიეს ამერიკის ჯარების პოზიციებს ცენტრალ ურ პლატოზე 320 კილომეტრზე საიგონის ჩრდილოეთით.

შეუპოვარი ბრძოლა ორ საათს გრძელდებოდა.

ორდენი პრეზიდენტს დაუბრუნეს

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი (საკდესი). ამერიკელმა პროფესორმა რეიმონდ ჰატრომ ნიშნად პროტესტისა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში საკვეყნოდ უარი თქვა თავის ჯილდოზე — „ვერცლის ვარსკვლავის“ ორდენზე, რომელიც მან მიიღო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის. რეიმონდ ჰატრომ თავისი „ვერცლის ვარსკვლავი“ გაუგზავნა პრეზიდენტ ჯონსონს.

სტატეა წარმოთქვა რა სტუდენტთა ომისსაწინააღმდეგო მიტინგზე, მან განაცხადა, რომ ყველა ამერიკელმა უნდა გამოთქვას აღშფოთება ომის გამო, რომელსაც შეერთებული შტატები ეწევიან ვიეტნამში. მე ვუბრუნებ ჩემს ორდენს პრეზიდენტ ჯონსონს. ეს არის ჩემი პროტესტი ვიეტნამის ომის წინააღმდეგ, თქვა ჰატრომ.

ჩამოგდებულია 765 თვითმფრინავი

პანოი, 16 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გამოაცხადა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავების რიცხვმა 765-ს მიაღწია.

ლახვარი ჩასცეს რეაქციის ზრახვებს

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მაკარენის კანონის დებულება, რომლის თანახმად ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრები ვალდებული არიან რეგისტრაციაში გატარდნენ იუსტიციის სამინისტროში, როგორც „უცხოთის სახელმწიფოს აგენტები“.

ამ გადაწყვეტილებამ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ ერთხმად მიიღო, სულელურ მდგომარეობაში ჩააყენა იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ამ კანონის საფუძველზე ვაშინგტონის სალოქო სასამართლოში საქმეს აწარმოებს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

ლათინური ამერიკის ხალხები ენერგიულად გამოდიან რეაქციის წინააღმდეგ. ურუგვაი ში „უშიშროების საგანგებო ზომების“ შემოღების პასუხად გაფიცული იყო 400.000 კაცი. მშრომელთა დემონსტრაციები სასტიკად ჩაახშეს. პრესის ცნობებით, ურუგვაიში ოთხასზე მეტი კაცი დააპატიმრეს.

• • •

ხურათზე: მონტევიდეოში პოლიცია ფანტავს დემონსტრანტებს. სურათი გაზეთ „პოპულარიდან“.

ხალხთა გულისწყრომა

ლონდონი. ჰაიდ-პარკში გაიმართა მასობრივი საპროტესტო მიტინგი სამხრეთრო-დეზიელ რასისტთა მოქმედების წინააღმდეგ. მიტინგზე პრემიერ-მინისტრ ვილსონის ოფიციალურ რეზიდენციასთან. მათ ინგლისის მთავრობას გადაეცეს წერილი, რომელშიც მოითხოვენ, რომ ინგლისის მთავრობამ იკისროს სამხრეთ როდეზიის მართვა, სანამ იქ არ მიიღებენ დემოკრატიულ კონსტიტუციას, რათა ბოლო მოეღოს თეთრკანიანი უმცირესობის ბატონობას.

ლონდონის, ლიდსის, დარემის, ოქსფორდის, შეფილდისა და სხვა ქალაქების მოსწავლენი აწყობენ დემონსტრაციებს იმ მოთხოვნების მხარდასაჭერად, რომ სამხედრო ძალა გამოიყენონ სამხრეთროდეზიელ რასისტთა წინააღმდეგ. ასეთივე ღონისძიებათა განხორციელებას მოითხოვენ ინგლისის პროფკავშირული ორგანიზაციები.

გაზეთი „დეილი უორკერი“ მხარს უჭერს ამ მოთხოვნებს და წერს: „ინგლისი უნდა ვაიძულოთ შეასრულოს თავისი ვალდებულებანი და ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ მოვიშოროთ სმიტის რეჟიმი და დაუყოვნებლივ დავამყაროთ მოსახლეობის უმრავლესობის მართვა-გამგეობა, რომელსაც საფუძვლად დაედება პრინციპი „ერთი კაცი—ერთი ხმა“.

ბელგრადი. იუგოსლავიის სუნივერსიტეტ ქალაქ ზაგრებში გაიმართა სტუდენტთა დიდი საპროტესტო მიტინგი იმის წინააღმდეგ, რომ იან სმიტის რასისტულმა რეჟიმმა გამოაცხადა როდეზიის დამოუკიდებლობა. მიტინგს იუგოსლავ სტუდენტებთან ერთად დაესწრნენ აზიელი, აფრიკელი და ლათინური ამერიკელი სტუდენტები, რომლებიც აქ სწავლობენ.

„ინგლისისაგან მოვითხოვთ, რომ განახორციელოს სასწრაფო და უაღრესად ენერგიული ღონისძიებები, აღნიშნულია მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში, რათა ხელი შეეშალოთ რასისტულ მთავრობას თავისი ანტიხალხური რეჟიმის განმტკიცებაში, აგრეთვე საშუალება მივცეთ ოთხმილიონიან ზიმბაბვეს ხალხს განახორციელოს იმ სამართლიანი ბრძოლის მიზნები, რომელსაც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ეწევა“.

დაკარი. იმედი ნუ ექნებათ სმიტსა და მის კომპანიას, რომ მათი ამბოხი დაუსჯელი დარჩება, წერს სენეგალის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის პრეს-ბიულეტენი. აფრიკის ქვეყნებმა აშკარად განაცხადეს, რომ მზად არიან ბრა გადაეღობონ სოლსბერელ უზურპატორებს და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სამხრეთ როდეზიის აფრიკელ მოსახლეობას. (საკდესი).

ტყვიამფრქვეველი გაფიცულთა წინააღმდეგ

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ტყვიამფრქვეველებით შეიარაღებული სამხრეთ როდეზიის პოლიცია გაგზავნეს საპროტესტო გაფიცვის ჩასახშობად, რომელიც აფრიკელებმა მოაწყეს სამხრეთ როდეზიის სამრეწველო ცენტრში ბულაიაოში იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ უკანონოდ გამოცხადდა სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობა“.

სამუშაოზე მიმავალმა ათასობით აფრიკელმა ბოიკოტი გამოუცხადა საზოგადოებრივ ტრანსპორტს, იტყობინება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბულაიაოდან. შეიარაღებული პოლიცია მანქანებით დაღიოდა ქუჩებში და აიძულებდა აფრიკელებს ავტობუსებში ჩამსხდარიყვნენ. რამდენიმე აფრიკელი დააპატიმრეს.

საშიში მდგომარეობა

ლონდონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). მდინარე ზამბეზის ორივე მხარეზე, რომელიც ბუნებრივი საზღვარია ზამბიასა და სამხრეთ როდეზიას შორის, თავმოყრილია ამ ორი ქვეყნის ჯარები. მეომართა რაზმები აშენებენ სიმაგრეებს და თხრიან სანგრებს.

საშიში მდგომარეობა საზღვარზე შეიქმნა მას შემდეგ, რაც სამხრეთ როდეზიაში სმიტმა და მისმა თანამზრახველებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება. სამხრეთ როდეზიის ჯარების კონცენტრაციის პასუხად ზამბიის პრეზიდენტმა კენეტ კაუნდამ გასცა განკარგულება გაგზავნონ ზამბიის ჯარები საზღვრის იმ უბნებში, სადაც თავი მოიყარეს სმიტის ჯარებმა.

სამხრეთ როდეზიის საპაუოებსა და გასაზვებ პუნქტებში, როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გულმოდგინედ ამოწმებენ ამ ქვეყანაში ჩამოსული ყველა მგზავრის დოკუმენტებსა და ბარგს. სამხრეთ როდეზიის ხელისუფლებმა, მაგალითად, ზამბიიდან ჩამოსული მოგზაურს ჩამოართვეს გაზეთ „ტაიმს ოფ ზამბიის“ ნომრები. სამხრეთ როდეზიაში ამ გაზეთის, ისევე როგორც ბევრი სხვა პეროდული გამოცემის გავრცელება აკრძალა სმიტის მთავრობამ მკაცრი ცენზურის შემოღების შემდეგ.

ინგლისის პარლამენტის გადაწყვეტილება

ლონდონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ინგლისის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, მიანიჭოს მთავრობას საგანგებო უფლება სამხრეთ როდეზიის წინააღმდეგ ეკონომიური და ფინანსური სანქციების გამოყენებისათვის, ეს გადაწყვეტილება, რომელმაც კანონის ძალა მიიღო, მოიწონა როგორც თემთა, ისე ლორდთა პალატამ, აგრეთვე ინგლისის დედოფალმა.

დასავლეთ ევროპის კავშირის სესია

პარიზი, 15 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა დასავლეთ ევროპის კავშირის ასამბლეის სესია. ამ სამხედრო ბლოკში შედის „საერთო ბაზრის“ ექვსი ქვეყანა, აგრეთვე ინგლისი. დღის წესრიგში, რომელიც დღეს სხდომაზე მოიწერეს, შეტანილია „საერთო ბაზრის“ კრიზისთან დაკავშირებული საკითხები, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის, ჩრდილოეთ-ატლანტიკის ბლოკის მომავალს, დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამხედრო პოლიტიკისა და კოსმოსის დარგში მათი პოლიტიკის საკითხები და სხვა პრობლემები. ყურადღებენ, რომ სესიაზე სიტყვას წარმოთქვამს ნატოს გენერალური მდივანი მანლიო ბრუნიო.

ერჰარდი ჩქაროგს

ბონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დღეს ბონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ კანცლერი ერჰარდი ოფიციალურ ვიზიტად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება არა 5 დეკემბერს, როგორც ეს თავდაპირველად იყო განზრახული, არამედ 2 დეკემბერს.

ერჰარდი ვაშინგტონში მოლაპარაკებას გამართავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონთან 3 და 4 დეკემბერს. როგორც წარმომადგენელმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დაეთანხმა ფედერალური მთავრობის წინადადებას დაეჩქაროს ერჰარდის ვიზიტი ვაშინგტონში.

17 ნოემბერი სტუდენტთა საერთაშორისო დღეა

და აგიზგიზდა სოლიდარობის ალი

ეს მოხდა 1939 წლის 17 ნოემბერს, ჰიტლერელმა ოკუპანტებმა ჩეხია-ში უყველა უმაღლესი სასწავლებელი დახურეს. შემდეგში აღმოჩენილი ფაშისტური დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ეს უმაღლესი სასწავლებლები არასოდეს აღარ გაიხსნებოდა, ნაციზმი რომ არ დამარცხებულიყო.

ნოემბრის იმ დღეს სს-ელებმა 9 სტუდენტი დახოცეს, ხოლო 12000-მდე საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს. ბევრი მათგანი დაიღუპა. პროტესტის ნიშნად სტუდენტებმა ანტინაციისტური დემონსტრაციები გამართეს, ისინი პრაღის ქუჩებში გამოვიდნენ რევოლუციური სიმღერებით, თან ღიღინოლოებში ეროვნული ფერების ლენტები ეკეთათ.

1941 წელს სტუდენტთა საერთაშორისო კავშირმა 17 ნოემბერი სტუდენტთა საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ოთხი წლის შემდეგ კი პრაღაში სტუდენტთა პირველი მსოფლიო კონგრესი გაიმართა...

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების დახურვა ჩეხი ერის მოსპობის ურჯულო ნაციისტური გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. ჰიტლერელები ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ჩეხი ინტელიგენციის ახალი თაობის აღზრდისათვის.

1939 წლის 17 ნოემბერი მარტო თარიღი როდია, რომელიც გარკვეულ ისტორიულ მოვლენას მოგვაგონებს, ამ დღემ უჩვენა დედამიწის ყველა სტუდენტს, რომ მათი ამოცანაა იბრძოლონ მშვიდობისათვის, სიმართლისათვის, ადამიანობისათვის, პროგრესისათვის, მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებისათვის.

17 ნოემბრის ამბებს სხვა ღრმა მნიშვნელობაც აქვთ. ისინი მოგვაგონებენ: პროგრესისათვის საჭიროა, რომ ერები ეხმარებოდნენ სხვა ერებს კვალიფიციური კადრების მომზადებაში, საკუთარი უმაღლესი სასწავლებლების შექმნაში.

აი რატომ არის, რომ პრაღის 17 ნოემბრის სახელობის უნივერსიტეტი ამაყად ატარებს ამ სამახსოვრო დღის სახელს. ახლა ჩეხოსლოვაკიაში სწავლობს თითქმის ოთხი ათასი უცხოელი სტუდენტი 103 ქვეყნიდან. მათი ორი მესამედი განვითარების გზაზე მდგომი ქვეყნების ახალგაზრდობის წარმოგზავნილები არიან.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დახმარება განვითარების გზაზე მდგომი ქვეყნებისათვის სპეციალისტთა მომზადებაში მარტო ამით როდი იზღუდება. ჩვენი ქვეყანა მათ უწევს და კვლავაც გაუწევს დახმარებას საკუთარი უმაღლესი სასწავლებლების მშენებლობაში.

ჩვენ ვიცით, რომ ეს განამტკიცებს სტუდენტთა ერთიანობასა და შეკავშირებს იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ი. მარტინეკი,
17 ნოემბრის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი.
პრაღა, ნოემბერი.

კომუნისტი
№-2 კვირა, ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 1965 წ.

ჩვენი მეგობრების ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით

სოფია. ეარნის ოლქში მწყობრში ჩადგა ახალი, სათვალავით მეორე გაბსადენი, რომლის სიგრძე 27 კილომეტრია. იგი საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით აშენდა. გაბსადენის მთავარი დანიშნულებაა იაფი საწვავით უზრუნველყოს დაბადების 125 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო. ფესტივალის ბოლო ნომერი იყო ოთხი კონცერტი.

ფესტივალმა დიდი ინტერესი გამოიწვია. „ატოვიეცი-ზაბეკეში ბელსკობიალაში, ჩეხსლოვოსლა და სხვა ქალაქებში გაიმართა 12 კონცერტი, რომლებსაც 12 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. ბოლონეთის რადიომ და ტელევიზიამ გადასცეს ორ-ორი კონცერტი. ფესტივალში მონაწილეობდნენ საბჭოთა მუსიკოსები და ბოლონეთის წამყვანი მუსიკალური კოლექტივები.

საბჭოთა ტელევიზიის კვირეული

პრაღა. ჩეხოსლოვაკიაში ფილმით „ოპტიმისტური ტრაგედია“ დაიწყო საბჭოთა ტელევიზიის კვირეული. კვირეულის დროს საბჭოთა ტელევიზიის პროგრამებს ყოველდღიურად გადასცემს ჩეხოსლოვაკიის ტელევიზია.

(საკდესი).

რუსული და საბჭოთა ფილმების ფესტივალი

ვარშავა. სოლენიანი დამთავრდა რუსული და საბჭოთა მუსიკის პირველი სრულიად პოლონეთის ფესტივალი, რომელიც ბ. ი. ჩაიკოვსკის დაბადების 125 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო. ფესტივალის ბოლო ნომერი იყო ოთხი კონცერტი.

ფესტივალმა დიდი ინტერესი გამოიწვია. „ატოვიეცი-ზაბეკეში ბელსკობიალაში, ჩეხსლოვოსლა და სხვა ქალაქებში გაიმართა 12 კონცერტი, რომლებსაც 12 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. ბოლონეთის რადიომ და ტელევიზიამ გადასცეს ორ-ორი კონცერტი. ფესტივალში მონაწილეობდნენ საბჭოთა მუსიკოსები და ბოლონეთის წამყვანი მუსიკალური კოლექტივები.

საბჭოთა ტელევიზიის კვირეული

პრაღა. ჩეხოსლოვაკიაში ფილმით „ოპტიმისტური ტრაგედია“ დაიწყო საბჭოთა ტელევიზიის კვირეული. კვირეულის დროს საბჭოთა ტელევიზიის პროგრამებს ყოველდღიურად გადასცემს ჩეხოსლოვაკიის ტელევიზია.

(საკდესი).

დამთავრდა იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობა

რომი, 15 ნოემბერი. (საკდესი). იტალიის სოციალისტური პარტიის 36-ე ყრილობის დასკვნით სხდომაზე, რომელიც გუშინ საღამოს გაიმართა, კენჭი უყარეს ორ რეზოლუციას.

მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლებმა (ბ. ნენისა და ფ. დე მარტინოს მომხრეებმა) შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებებს იტალიის სოციალისტური პარტიისა და იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებისათვის.

მეორე რეზოლუციაში, რომელიც შეიტანეს იტალიის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებმა და რ. ლომბარდის მომხრეებმა, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ უნდა შეინარჩუნონ იტალიის სოციალისტური პარტიის კლასობრივი, დემოკრატიული, ინტერნაციონალისტური ხასიათი, განახორციელონ მუშათა მოძრაობის ერთობის პოლიტიკა. რეზოლუცია გმობს იტალიის სოციალისტური პარტიისა და იტალიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის გაერთიანების გეგმებს, რაც, როგორც ხაზგასმით აღნიშნულია რეზოლუციაში, „გააუქმებდა სოციალისტური პარტიის ისტორიულ ფუნქციას იტალიის საზოგადოებაში“. რეზოლუცია მოითხოვს, რომ იტალიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა ბ. ნენისა და ფ. დე მარტინოს მომხრეებმა) შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებებს იტალიის სოციალისტური პარტიისა და იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებისათვის.

მეორე რეზოლუციაში, რომელიც შეიტანეს იტალიის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებმა და რ. ლომბარდის მომხრეებმა, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ უნდა შეინარჩუნონ იტალიის სოციალისტური პარტიის კლასობრივი, დემოკრატიული, ინტერნაციონალისტური ხასიათი, განახორციელონ მუშათა მოძრაობის ერთობის პოლიტიკა. რეზოლუცია გმობს იტალიის სოციალისტური პარტიისა და იტალიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის გაერთიანების გეგმებს, რაც, როგორც ხაზგასმით აღნიშნულია რეზოლუციაში, „გააუქმებდა სოციალისტური პარტიის ისტორიულ ფუნქციას იტალიის საზოგადოებაში“. რეზოლუცია მოითხოვს, რომ იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი პრეზიდიუმ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი—მეგზაური, აღმზრდელი



Rესპუბლიკური საჯარო... დიახ, ის არის ნათელდარბაზებიანი შესაკრები ადგილი ყველა პროფესიის ადამიანებისა, ვისაც წიგნი მეგობრად მიუჩნევია.

1966 წელს ასოცდაათ წელი შესრულდება, რაც ეს ბიბლიოთეკა არსებობს. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მის დარბაზებში მოსულთა გონებაში ითესება ცოდნის თესლი.

საქართველოს სსრ კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკა დიდ და საპატიო ამოცანას ასრულებს.

წიგნის პროპაგანდა მთავარი საქმეა. და იგი ამ ამოცანის შესასრულებლად მუშაობს; საბიბლიოთეკო საქმის მოწოდების სიმაღლეზე დაყენება საპატიო მოვალეობაა. და იგი ამ საპატიო მოვალეობას ასრულებს, ცხოვრებასთან კავშირი, მასში ტრიალი ყოველი მუშაკის, ყოველი საგანმანათლებლო დაწესებულების კოლექტივის წმიდათაწმიდა ვალია. და იგი ამ უბანზე მოღვაწეობს; მასობრივი მუშაობის კვაკუთხედია ხალხის მოთხოვნილებათა გათვალისწინება და დაკმაყოფილება.

ბიბლიოთეკა ეწევა წიგნის პროპაგანდას, აწყობს ლიტერატურის თემატურ გამოფენებს, ლექციებს, საუბრებს. ეს დიდი საუბრები შთააგონებს ადამიანებს შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას. სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვას. ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის ლენინური იდეების პროპაგანდა უაღრესად მადლიანი თემაა. ამ თემას ეძღვნება ორგანიზებულად მომზადებული საღამოები, შეხვედრები, სადაც ფართო გასაქანი ეძლევა გულითად საუბარს ძმობაზე, მეგობრობაზე, ინტერნაციონალურ აღზრდაზე.

და ასე. რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის კოლექტივი მტკიცედ დგას ცოდნის გავრცელების სადარაჯოზე. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ტომებს, ეროვნული საუნჯის იშვიათ ეგზემპლარებს, მეცნიერების მწვერვალებისაკენ მიმავალ ბილიკებს ელცვის მრავალი და მრავალი ადამიანი.

როგორი სიბეჯითით იძენენ ისინი ცოდნას, როგორ ასრულებს ბიბლიოთეკა მათს სურვილებს, პარტიის მითითებებს, — ამაზე მოგვითხრობს ამ გვერდში დაბეჭდილი მასალები.

ჩვენთან, წიგნის სამყაროში

ბიგნის გარეშე არ არის ცოდნა, — ცოდნის გარეშე არ არის კომუნიზმი — დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ამ ბრძნული მითითებებით აღფრთოვანებული მშრომელი ხალხი მისწრაფვის ცოდნის გაფართოებისაკენ. ამ კეთილშობილურ მისწრაფებაში ქმედითი დახმარების აღმოჩენა ბიბლიოთეკების საპატიო საქმეა.

საჯარო ბიბლიოთეკას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში წიგნის ფონდში ჰქონდა 50.000 ეგზემპლარი ბიბლიოგრაფიული ერთეული, დღეისათვის კი, პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობის შედეგად, ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურის წიგნთა სამყარო რვა მილიონზე მეტ ეგზემპლარ ბიბლიოგრაფიულ ეთერეულს ითვლის.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, რომელიც მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის დიად სახელს ატარებს, წარმოადგენს საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა ეროვნულ წიგნსაცავს, საბიბლიოთეკო მუშაობის ცენტრს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებას ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და საქართველოს სსრ წიგნის ისტორიის დარგში.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნის ფონდი ხელმისაწვდომია ყველასათვის: რა დროსაც უნდა ესტუროთ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებს, დაინახავთ ასობით მკითხველს — მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, აკადემიკოსებს, პროფესორებს, მეცნიერ მუშაკებს, ჟურნალისტებს, სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას, ოთხლეგიც სისტემატურად სარგებლობენ ბიბლიოთეკის წიგნის ფონდით. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა — წიგნთა სამყარო — თავის პირდაპირ დანიშნულებას მკითხველთა მოზიდვისა და მათი მზრდელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში ხედავს.

ბიბლიოთეკის მუშაკთა კოლექტივი დიფერენცირებულად ემსახურება მკითხველებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მრავალმა სტუდენტმა და ასპირანტმა ბიბლიოთეკაში დაამუშავა თავისი სადიპლომო და სადისერტაციო შრომები. ბიბლიოთეკა წიგნის პროპაგანდის მძლავრი კერაა, იგი ხელმისაწვდომი გახდა ხალხისათვის.

საჯარო ბიბლიოთეკის ფონდში თავმოყრილია ყოველივე ძვირფასი, რაც კი საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია მოწინავე, პროგრესული კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლებს. წიგნის ფონდში განსაკუთრებით სრულად არის წარმოდგენილი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა გენიალური ნაშრომები, მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსთა, თანამედროვე საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები, სოციალისტური სამშობლოს ისტორიის, ბუნებისმეტყველების, ტექნიკისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე არსებული ლიტერატურა.

არის ისეთი წიგნები, რომლებიც უნიკალურ ერთეულებს წარმოადგენენ. ყურადღებას იპყრობს 1937 წელს ბიბლიოთეკისათვის გადაცემული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდი, შემდგარი 13.000 ეგზემპლარი წიგნისაგან. აქ ჩვენ გვხვდება ბეჭდური პროდუქციის ისეთი იშვიათი გამოცემები, როგორიც არის პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, გამოცემული ქ. რომში 1629 წელს — „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ვახტანგისეული) და სხვ.

ყოველწლიურად იზრდება რესპუბლიკური ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი. 1964 წელს ბიბლიოთეკამ შეიძინა 351.418 ბიბლიოგრაფიული ერთეული. მიმდინარე წლის პირველი ინვერისათვის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდში 8.278.259 ბიბლიოგრაფიული ერთეული იყო. ყოველწლიურად იზრდება მკითხველთა რაოდენობაც. ბიბლიოთეკამ 1964 წელს ლიტერატურით მომსახურება გაუწია 536.977 მოსახლეს, რომელთაგან 30.000-ზე მეტი — მუდმივი მკითხველია, რომლებზეც გაცემულ იქნა 2.176.190 ბიბლიოგრაფიული ერთეული.

მკითხველთა უკეთ მომსახურების მიზნით ჩვენი ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტით წიგნებს იღებს სხვ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო და სხვა სამეცნიერო ბიბლიოთეკებიდან. ჩვენს ბიბლიოთეკასთან ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით დაკავშირებული არიან როგორც რესპუბლიკის მასობრივი ბიბლიოთეკები, ისე საკავშირო და მოძმე რესპუბლიკების ბიბლიოთეკებიც. ბიბლიოთეკა წიგნებს უცვლის 399 ბიბლიოთეკას, მათ შორის სსრ კავშირის 137 ბიბლიოთეკას, აგრეთვე სოციალისტური და კაპიტალისტური 26 ქვეყნის 60 დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

ჩვენი ეროვნული წიგნსაცავის მდიდარი წიგნის ფონდის მთავარი გასაღები საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების ხელშია. მკითხველთა მომსახურების საქმეში საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ განყოფილებას აქვს მდიდარი საცნობარო აპარატი, სახელდობრ, დამხმარე ფონდი საცნობო ლიტერატურისა: ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები მრავალ ენაზე, ძვირფასი კოლექციები ენციკლოპედიური ლექსიკონებისა,

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დადგენილების („ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“) შემდეგ მომზადებული და გამოცემულია მრავალი სახელწოდების ბიბლიოგრაფიული ნაშრომები, მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელოები, ახალი ბიბლიოგრაფიული საძიებლები, რომლებიც დროულად ეგზავნება ჩვენი რესპუბლიკის ბიბლიოთეკებს.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტომი III, ნაკვეთი I, ნაკვეთი II; აღნიშნული ბიბლიოგრაფიის მე-4 ტომი გადაცემული აქვს წარმოებას. დიდი სიყვარულით შედგენილ ამ ბიბლიოგრაფიას აღფრთოვანებით შეხვდა ყველა, ვინც დაინტერესებულია ჩვენი ეროვნული კულტურის შესწავლით.

მზად არის გამოსაცემად ბიბლიოგრაფია დიდ ქართველ კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილზე. მზადდება ბიბლიოგრაფია ჩაუკრობელ კინოვარსკვლავ ნატო ვაჩნაძეზე.

განსაკუთრებული უურადღების ცენტრშია კატალოგების (ანბანური, სისტემატური და საგნობრივი) ორგანიზაციის საკითხი, ვინაიდან ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნის ფონდის ყველაზე სანდო და სრული გასაღებია კატალოგები, რომლებშიც, როგორც სარკეში, ასახულია ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი ცოდნის ცალკეული დარგების მიხედვით.

ბიბლიოთეკა ნაყოფიერად მუშაობს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და წიგნმცოდნეობის საკითხების სამეცნიერო-კვლევითი და მეთოდური დამუშავების უზრუნველსაყოფად. ამასთან ბიბლიოთეკა ახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობას და დახმარებას რესპუბლიკის ბიბლიოთეკებისადმი, რომელთა რაოდენობა ხუთი ათასს აღწევს.

თვალსაჩინო ადგილი ეთმობა სამეცნიერო მუშაობაში სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის წარმოებას. ბიბლიოთეკა სწავლობს და განაზოგადებს აგრეთვე რესპუბლიკის მოწინავე ბიბლიოთეკების გამოცდილებას.

სისტემატიურად ეწყობა მასობრივი ღონისძიებები მოსწავლე ახალგაზრდობის უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით.

რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში სერიოზული მუშობა წარმოებს საწარმოთა კადრებთა დასახმარებლად. ბიბლიოთეკა მტკიცედ არის დაკავშირებული საწარმოებთან, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის ბიბლიოთეკასთან, რომლებთანაც ერთად ძალიან ხშირად ხორციელდება ერთობლივი ღონისძიებები. 1964 წლის მანძილზე საქართველოს მსხვილ საწარმოებში ჩამოყალიბებულ იქნა ექვსი „მუდმივმოქმედი უბანი“, სადაც წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებანი საწარმოთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებული მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს მკითხველთა შორის წიგნის პროპაგანდის გაძლიერებას. სისტემატიურად ეწყობა ლიტერატურის გამოფენები ყოველ ისტორიულ თარიღთან, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ამბებთან დაკავშირებით.

ამას წინათ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა თბილისში მომუშავე სომეხ მწერლებთან. ეს იყო ინტერნაციონალური საღამო.

მეტად საინტერესო იყო აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის ლექცია თემაზე: „ესთეტიკური თეორიის ზოგიერთი საკითხი“, აგრეთვე პროფესორ გრიგოლ ჩხიკვაძის ლექცია — „ძველი ქართული ხალხური მუსიკალური კულტურა“.

ძვირფასი, საყვარელი

ვნწავლობ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე.

ცოდნის შეძენისა და განმტკიცების საქმეში დიდად მეხმარება ქართული ეროვნული კულტურის დიდი საგანძურის — საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მდიდარი წიგნის ფონდი, კერძოდ, ამ ბიბლიოთეკის ტექნიკური ლიტერატურის სამკითხველო დარბაზის სახელდახელო ფონდი, რომლის მკითხველი ვარ.

სტუდენტი ბ. ურუშაძე.

ჩემთვისაც ძვირფასი და საყვარელი ადგილია სახელმწიფო ბიბლიოთეკის ახალგაზრდობის განყოფილება. შარშანდლიდან მუდმივი მკითხველი ვარ. აქ ვეცნობი შუბლიურ და უცხოურ ლიტერატურას.

ჩვენთვის განკუთვნილი ორი დარბაზი მუდამ სავსეა. ახალგაზრდობის განყოფილებას შარშან 6.000-მდე მუდმივი მკითხველი ჰყავდა. წელსაც მკითხველთა მრავლობაა. ჩვენ, ახალგაზრდები, ვმონაწილეობთ მასობრივ ღონისძიებებში. გამოვუშვით განყოფილების გაზეთი „ახალგაზრდა მკითხველი“, მოვაწყეთ გერმანული ენის საღამო და ამ ენაზე შევადგინეთ გაზეთი „ჩვენ ვლაპარაკობთ გერმანულად“.

მოსწავლე ნ. ამონაშვილი.

სახელმწიფო (საჯარო) რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მუშაკთა კოლექტივის დაძაბულმა, გეგმაზომიერმა მუშაობამ საუკეთესო ნაყოფი გამოიღო. ბიბლიოთეკაში მომუშავეთა შორის თექვსმეტი თანამშრომელი ქართულ და რუსულ ენებთან ერთად საუკეთესოდ ფლობს უცხო ენებსაც. ამჟამად ბიბლიოთეკაში გახსნილია პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის ფილიალები, რომლებშიც ჩაბმულია 60 მუშაკი. ისინი ეუფლებიან რუსულს, სწავლობენ გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებს. ბიბლიოთეკის მტკიცე კავშირმა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებთან განაპირობა ის, რომ ჩვენი რესპუბლიკური ბიბლიოთეკა 1964 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე იყო.

სადირექტივო ორგანოების დადგენილების საფუძველზე 1965 წლის მაისიდან საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო (საჯარო) რესპუბლიკური ბიბლიოთეკა შესულია სსრ კავშირის უნივერსალური პროფილის პირველი ჯგუფის (კატეგორიის) სამეცნიერო ბიბლიოთეკათა რიცხვში.

ჩვენი ეროვნული კულტურის სიამაყე — სახელმწიფო (საჯარო) რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თავისი მდიდარი, მრავალმხრივნაირი წიგნის ფონდით დაუღალავად ემსახურება ქართული ეროვნული კულტურის შემდგომი წინსვლისა და აღმავლობის საქმეს.

პ. კანდელაკი.

საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი.

საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲐᲥ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მეტად მეტყველი საბუთები ეს ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნებია, ათასობით რომ არის დაცული ჩვენს სიძველეთა და წიგნთა საცავებში. ეს საბუთები მეტად ცხადად აწვდიან ერის ენერგიას და ასაბუთებენ მის ინტელიგენტურ არსს.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები საქართველოში დაგვიანებით, XVIII საუკუნეში ჩნდება, მაგრამ ამ მოვლენას სრულიადაც არ შეუძლია ხელი გონებრივი მოძრაობისათვის. სხვადასხვა ვითარების გამო ქართულმა პერიოდულმა გამოცემებმაც დაიგვიანეს, მათ მხოლოდ 150 წლის ისტორია აქვთ. მიუხედავად ამისა, ქართული პრესა იმთავითვე საზოგადოებრივი შეგნების აუცილებელ ნაწილად იქცა და მეტად მნიშვნელოვანი მისია დაეკისრა—ქართველი ხალხის აზვირთებული ცხოვრების მემატიანეობა.

ქართული პერიოდიკის ისტორიაში ისეთ ადამიანთა სახელები ბრწყინავენ, როგორიც იყნენენ სოლომონ დოდაშვილი, გიორგი ერისთავი, ივანე კერესელიძე, ილია ჭავჭავაძე, ვირორი წერეთელი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი, აკაკი წერეთელი და სხვანი. ქართული პერიოდიკის მასიცოცხლებელი ძალა ერის საუკეთესო შვილები იყვნენ, რომელთა ნამოღვაწეობაში არეკლილია ქართველთა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური, უფლებრივი, კულტურული ვითარება და ყოფაცხოვრება. ეს უძვირფასესი მასალა დიდხანს მოუწესრიგებელ-აუწერელი იყო. ძველად ზოგჯერ გამოჩნდებოდა ხოლმე ბიბლიოგრაფიული ნაშრომები, რომელთა შორის ყველაზე ფნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო წრისაგან გამოცემული „ქართული ბიბლიოგრაფია“ (1916 წ. პეტერბურგი),

ბიბლიოგრაფიული მეცნიერების პრინციპებზე დამყარებული ქართული პრესის მასალათა სათიბელი, თემატიკურად გაანალიზებული, რომლის რამდენიმე ტომი მომხმარებელთა ხელთა აქვთ, შედგენილია და გამოცემული საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მიერ. ეხება ქართული გაზეთების, ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიება, რომელთა დამზადებას უშუალოდ ხელმძღვანელობს საჯარო ბიბლიოთეკის ქართველმცოდნეობის განყოფილება (დამსახურებული ბიბლიოთეკარის თ. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით).

ეს ტომები წარმოადგენენ ქართული პერიოდული ორგანოების ყველა წერილის საძიებელს, თემატურად განაწილებულსა და განლაგებულს და მკითხველს საშუალებას აძლევენ ადვილად გაიგონოს გზა იმ ზღვა მასალაში, რომელიც ქართულ პრესას შეუქმნია და რომელშიც ასახულია ქართველი ხალხის წარსული, აწმყო და მომავლის პერსპექტივა.

საჯარო ბიბლიოთეკა წიგნმცოდნეობის დიდი დაწესებულებაა. იგი საქართველოს რესპუბლიკის ყველა ბიბლიოთეკას მეთოდურ-პრაქტიკულ დახმარებას უწევს, რადგან იგი ისეთი ადგილია, სადაც თავს იყრის ჩვენი ხალხის ნაზარეული, მისი მეცნიერულ-მხატვრული აზროვნება. ამიტომაც სწორედ საჯარო ბიბლიოთეკა დიდი პრაქტიკული დაწესებულებაა, სადაც შეიძლება ადამიანმა შეიძინოს ყოველგვარი და მრავალმხრივი ცოდნა.

სოლ. ხუციშვილი.
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ᲪᲝᲓᲜᲘᲗ ᲐᲒᲘᲡᲙᲠᲝᲕᲜᲔᲑᲡ

რა თქმა უნდა, მეც მაქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, მაგრამ საჯარო ბიბლიოთეკის მეცნიერ მუშაკთა დარბაზში წაგზე მუშაობა მოთხოვნილებად გადაქცეულა. ამ უდიდეს წიგნთსაცავში მიხდავს ყველა და ყველაფერი.

ეკ დღეში ორი ათასამდე მკითხველი მოდის. ელექტრიდმი ორ მილიონზე მეტი წიგნი, გაიცემა ხოლმე მკითხველებზე. მეცნიერ მუშაკთა დარბაზში, ისევე როგორც სხვა დარბაზებში, საუკეთესო პირობებია შექმნილი ცოდნის გაფართოებისათვის. მოწყობილია ახლადმიღებული წიგნების გამოფენა, სტენდები საინფორმაციო ბიულეტენებისათვის, დადგმულია ლია კარადები საცნობარო ლიტერატურისათვის — ენციკლოპედიებისა და ლექსიკონებისათვის, რაც მეცნიერული აპარატია.

მეთხელებს ბიბლიოთეკაში წიგნზე მუშაობას გეიადვილებს და გეაყვარებს მთავარი ბიბლიოთეკარი თამარ მაჭავარიანი; ამ საქმესვე ემსახურებიან თამარ დონდუა (მხარეთმცოდნეობის კაბინეტიდან), მარიამ თანდილაშვილი, (პერიოდულ გამოცემათა დარბაზიდან), ტ. სპატოვა, მზია მეგრელიძე, ლია ლაბარტყავა, ნუნუ ხომერიკი (მეცნიერ მუშაკთა დარბაზიდან).

დიახ, ეროვნული სიამაყეა კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, რომელიც ხელს უწყობს ცოდნით ჩვენს გაცისკროვნებას.

დ. ცქვიტინიძე,
თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

საჯარო ბიბლიოთეკის სიამაყედ და სახელად მიიჩნევა არა ის, თუ რამდენი იშვიათი ეგზემპლარია მასში, XVI საუკუნის რამდენი და რა გამოცემაა ან X საუკუნის რა ხელნაწერები მოეპოვება მას, არამედ ის, თუ რამდენად ფართოდ ტრიალებს წიგნი ხალხში, რამდენი ახალი მკითხველია მიზიდული, რამდენად სწრაფად კმაყოფილდება წიგნის ყოველი მოთხოვნა, რამდენი წიგნი გაიცა შინ წასაკითხავად, რამდენი გავშვია მიზიდული, რომ იკითხონ და ისარგებლონ ბიბლიოთეკით.

ვ. ი. ლენინი

მასპინძელი მოდის!..

უცბათურად იღება კარი. ზღურბლს გადასცდებით, და იწყება მრავალფეროვანი სამყარო, უდიდესი წიგნთსაცავის ვრცელი დარბაზები გულუხვ ბასპინძლობას გპირდებიან. შეიძლება წიგნთა ეს მასპინძლობა იყო მიზეზი, რომ მერი მელაძემ თავისი შეგნებული ცხოვრება წიგნის მოვლა-პატრონობას დაუკავშირა. ამ ორმოცი წლის წინათ პირველად შეიღო წიგნთსაცავის კარი მ. მელაძემ. გულთბილად მიიღეს იგი გამოცდილმა ბიბლიოთეკათმცოდნეებმა. ყურადღებას არ აკლებდენ, ეხმარებოდნენ ახალგაზრდა ენთუზიასტს. მადლიერებით იგონებს მერი მელაძე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს: მ. იორდანიშვილს და ლ. ეგორიაშვილს.

ყოველდღიურად ათასობით წიგნი, ჟურნალი და გაზეთი ემატება ამ უზარმაზარ წიგნთსაცავს. ყველა ამ ძვირფასი მასალის მოვლა-პატრონობა, აღრიცხვა, აღწერა-გამოკვლევა, დაზუსტება, ბიბლიოგრაფიიდან ლისტებამი მოყვანა ბიბლიოთეკის მუშაკთა დაუცხრომელ შრომას მოითხოვს.

სწორედ ამიტომ დასტრიალებს მერი მელაძე მზრუნველად ჩვენს ეროვნულ საუნჯეს. მან თითქმის ზეპირად იცის ყოველი საკატალოგე ყუთის შემადგენლობა, ანბანური იქნება ის, სისტემატური, საგნობრივი თუ საკონტროლო. ეს არც გასაკვირველია, ეს მილიონობით ოთხკუთხა ბარათები ხომ ამ საქმის დიდი ამაყდარის, ღვაწლმოსილი ქალის უშუალო მონაწილეობით არის შედგენილი.

ეროვნულ საუნჯეზე ყოველდღიურ ზრუნვაში გაიარა დრომ. გასულ წელს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის კოლექტივმა მას დაბადების 60 წლისა და ამავე ბიბლიოთეკაში მუშობის 40 წლისთავი გადაუხადა.

60 წელი მიითვლა მხცოვანმა ქალმა, გულში კი უნთია ერცელი დარბაზების თაროებზე მოთავსებული მილიონობით წიგნის სიყვარულის ცეცხლი. ამიტომაც ყოველ დილით ჩვეული სიდინჯით აუყვება ხოლმე თმაჭაღარა ქალი დიდი, ნაცრისფერი შენობის საფეხურებს. და თითქოს წიგნებიც ჩურჩულებენ: მასპინძელი მოდის.

ნინო ლაიშვილი.
მთავარი ბიბლიოგრაფი, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი.

ᲓᲔᲘᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ

საუკუნის მეოთხედს ორი წლით გადაბიჯა, რაც აქ მუშაობს. ეს ხომ არც ისე მცირე დროა!

ბიბლიოთეკაში რომ მოვიდა, შავთმა ჰქონდა, დღეს კი შეჭირცხლილი აქვს. მას ჩვენი მკითხველები „დეიდა საშას“ ეძახიან, იგი მათ ყოველთვის ღიმილით ხვდება, დედობრივი მზრუნველობით ეგებება, სთავაზობს წიგნს, თვალყურს ადევნებს მათს ზრდას.

რამდენ მკითხველს მომსახურებია 27 წლის მანძილზე ალექსანდრა ბერუჩაშვილი, რამდენი თვალი ყოფილა მიპყრობილი მის მადლიან სახეზე! მისი თავაზიანობა და მზრუნველობა მკითხველისათვის არ იყო შეუმჩნეველი. გამოცდების ჩაბარების შემდეგ ისინი ისწრაფოდნენ მისულიყვნენ და „დეიდა საშაც“ გაეხარებინათ. ეს დამოკიდებულება შეუმჩნეველი არ იყო მისთვის, ახარებდა მას, ძალასა და ენერგიას მატებდა.

დღეს იგი პენსიაში გადის — სურს ტკბილი სიბერე გაატაროს მეუღლოსა და ოჯახში. მაგრამ არასოდეს არ დაივიწყებს თავის მეორე ოჯახს — ბიბლიოთეკას და მის მკითხველებს.

ვუსურვოთ ამ კარგ ადამიანს ტკბილი და ხანგრძლივი მოხუცებულობა.

ა. კეთილაძე.

ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ

რესპუბლიკური სახელმწიფო ბიბლიოთეკა, საქართველოს ეს უდიდესი წიგნთსაცავი, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის მატიანის — მეცნიერების, ხელოვნებისა და მწერლობის უკვდავი ძეგლების ფაქიზად მომვლელია.

მწიგნობრობის ეს დიდი ცენტრი მაღალ სულიერ საზრდოს აწვდის ყველას, ვინც წიგნის სიყვარულით შეაღწევს ამ ულამაზესი შენობის კარს და ფართოდ გამღილ დარბაზებში მოისურვებს დაეწაფოს ცოდნის წყაროს.

ამ სახელმოხვეჭილ წიგნთსაცავში უხვად არის წარმოდგენილი ყველა ქვეყნისა და ხალხის წარსულისა და თანამედროვეობის მაცნე, მაგრამ ყველაზე მდიდრად მაინც ქართული მეცნიერების, ხელოვნების, სიტყვაკაზმული მწერლობისა და პუბლიცისტიკის ნიმუშებია თავმოყრილი.

შედიხართ საინტერესო ისტორიის მქონე ამ შენობაში და გულს ახარებს წიგნის სიყვარულით ჭაღაცებული ჩვენი ახალგაზრდებით გავსებული, მაღალი გემოვნებით გაფორმებული დარბაზები. საოცარი სიჩუმეა, ცოდნას მოწყურებული 800-900 სტუდენტი, მოსწავლე და მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენელი მისკენმოდის მაგიდებს და სწავლობს მეცნიერებას, ტექნიკისა და ხელოვნების მიღწევებს.

თვალს ხვდება ბიბლიოთეკის თანამშრომელთა საოცარი გულისხმიერება, ყურადღება, დაუზარელი ზრუნვა წყვეტილ დაინტერესებულთადმი.

ეს მეცნიერ მუშაკთა დარბაზიც, სადაც ჩვენი მხცოვანი და ახალგაზრდა მეცნიერები სწავლობენ წარსულისა და თანამედროვეობის სიღიადის მატუნყებელ წიგნებს, რომ მიღებული ცოდნით მეცნიერებისა და ხელოვნეების ახალი გზები გაკაფონ.

ამ უზარმაზარ სამეცნიერო დაწესებულებაში ხელშესახებად იგრძნობა როგორც ხელმძღვანელებისა, ისე ბიბლიოთეკის მთელი კოლექტივის გულის სითბო, რომელიც მკითხველებს მეცნიერული მუშაობისათვის მშვიდ გარემოს უქმნის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მხარეთმცოდნეობის განყოფილების მთელი კოლექტივის დაუზარელი და გულისხმიერი ზრუნვა მკითხველებისადმი. საკმარისია მკითხველმა მოითხოვოს რომელიმე წიგნი თუ ჟურნალი, რომელიც ბიბლიოთეკის ფონდშია დაცული, და იგი დაუყოვნებლივ იქნება შემოთავაზებული. ამ კოლექტივის გულისხმიერებით ჩვენი ქვეყნის არა ერთი და ორი მეცნიერია დავალებული. ამ სტრიქონების ავტორიც დიდი მადლიერებისენებს განყოფილების ყოველი თანამშრომლის სახელს და სიამოვნებას ჰგვრის მათი უანგარო ზრუნვის მრავალი მომენტის მოგონება.

ეს კოლექტივი მახლობელია ყველასათვის, ვისაც ამ კაბინეტში უმუშავნია. აქ, ამ განყოფილებაში, ჩამოყალიბებული წარმოსახვაში და დაწერილა კიდეკაც არა ერთი და ორი სამეცნიერო სტატია თუ წიგნი.

ჩემებრ მადლიერი მკითხველი მრავალ ყოფილა საჯარო ბიბლიოთეკას და, კერძოდ, მის მხარეთმცოდნეობის განყოფილებას. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ზრუნვით გარემოსილი მკითხველები კვლავაც წარმატებას უსურვებენ ამ სახელოვანი ბიბლიოთეკის მთელ კოლექტივს.

ან. ჭილაია,
პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ᲗᲣᲛᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲗᲐ ᲬᲘ�გᲜᲘᲓᲐᲜ

ძალიან მოხარული ვარ, რომ საქართველოში მოვინახულე პირველი ბიბლიოთეკა კ. მარქსის სახელობისა. აქ შემხვედნენ მოყვარული ხელმძღვანელები, რომლებმაც გამაცნეს ბიბლიოთეკა. გამაცა ბიბლიოთეკის წესრიგნა. ვგრძნობ, რომ მკითხველები, რომლებიც წიგნზე, თავიანთ თავზე მუშაობენ აქ, ბედნიერი არიან ასეთი მომსახურებით. ჩემი ქალიშვილი ტოკიოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობს და იაპონიაში დაბრუნებისას გავაგზავნ მას ამ ბიბლიოთეკის მუშაობას. უღრმესი მადლობა დიდი გულთბილობისათვის.

ეპეი ფუკურო,
„ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი იაპონურ ენაზე.

ამ მშვენიერი ბიბლიოთეკის ნახვისას მე პირადად მოხიბლული დავრჩი...

ვუსურვებდი ჩემს ქვეყანას ასეთსავე სიბრძნესა და მოღწევებს.

მ. ემა ალეიეო,
პალერმოს კომერციული ბიბლიოთეკის დირექტორი, პროფესორი, დოქტორი.

დიდ მადლობას გიძღვნით დახმარებისათვის, რომელიც თქვენ შესანიშნავი ბიბლიოთეკით გაგიწევთ.

მეინარდ ა. ამერინი,
უნივერსიტეტი „ალეფორნია დეივისი“.

საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული უნიკალური წიგნები: მარცხნიდან — პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი — სტეფანე პაოლინი — ქართულ-იტალიური ლექსიკონი. რომი. 1629, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ იაპონურ ენაზე, თარგმნა ეპეი ფუკურომ (1960-1961 წწ.). მაჯი — ქართული ენის გრამატიკა, რომი 1670, შ. რუსთა

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

კონფერენცია მედიცინის საკითხებზე

ბათუმი. (საკ. კორ.). აქ ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, ნ. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, საქართველოს სსრ რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურისა და აჭარის ასსრ სანეპიდსადგურის მიერ მოწყობილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

მოხსენებები წაიკითხეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. მარგველაშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ი. შენგელაიამ, პროფესორმა ა. ყანჩელმა, ექიმმა გ. კვაჭანტირაძემ და სხვებმა.

სტუმრები ლატვიიდან

ქუთაისი. (საკ. კორ.). ორ დღეს იყო სტუმრად ქუთაისში ქ. რიგის ფარმაცევტების დელეგაცია.

ლატვიელი სტუმრები ინტერესით გაეცნენ ქ. ქუთაისის ფარმაცევტთა მუშაობას. თანამოსაუბრეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მედიკამენტებით მშრომელთა მომსახურების გამოცდილება. სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, იყვნენ გელათსა და წყალტუბოში.

ჯარისკაცის გმირობა

ჯარისკაც ვლადიმერ კარპოვს, „გაზ-“3“-ით მიჩქარინის სახელობის კოლმეურნეობიდან ჭარხალი მიჰქონდა შაქრის ქარხანაში. ასეთი ტრადიციაა — როცა მინდვრის მშრომელებს უკრთ, ჯარისკაცები ეხმარებიან.

ქალაქ რილსკიდან გამოსვლის დროს მანქანა გავიდა მტნარე სეიმზე გადებულ ხიდზე. უკვე გაღმა გადიოდა, როცა ვლადიმერმა დაინახა, რომ წინ მიმავალმა ავტომანქანამ მკვეთრად გადაუხვია ხელმარცხნივ, რათა გვერდი აევლო ხიდზე მომუშავე ქალებისათვის. ვლადიმერმაც გადაუხვია, მაგრამ იმავ წამს მას წინ გამოეხტა ოთხტონიანი „ზილ-150“. შეჯახება გარდუვალი იყო, ხელმარჯვნივ კი ხალხია... მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩებოდა!

ხალხმა დაინახა როგორ შეეცალა სახე ჯარისკაცს: ტუჩები მოიკვნიტა, თვალები მოკუტა, მთელი სხეულით დაიწვა სკეტს და მანქანა ხელმარცხნივ, მოაკიერსკენ მიაბრუნა. წამიც და მანქანა ხიდიდან გადაეშვა. საშინელი დაჯახება არ მომხდარა.

ხალხი მდინარისკენ გაიქცა. ხიდის მალი ოთხსართულიანი სახლის სიმაღლეზე იყო. „გაზ-63“-მა თორმეტი მეტრი გაიარა და სულ დამტვრეული და დაჭუჭყნილი ძველ ხიმინჯებში გარჩა ერთ მეტრ სიმაღლეზე მდინარის ზედაპირიდან. ვიღაცამ კაბინაში შეიხედა.

— ცოცხალია, ცოცხალ!

ჯარისკაცი ფრთხილად გამოიყვანეს კაბინიდან, და რილსკის საავადმყოფოში მიიყვანეს. მისი გმირობა ბევრმა მეტყველმა საავადმყოფოში მოდიოდა დელეგაციები, რეკავდნენ ტელეფონით. მოვიდნენ ისინიც, ვინც მან გადაარჩინა — № 822 გზის სამმართველოს მუშა ქალები.

ახლა ვლადიმერი გამოჯანსაღდა. ჯარისკაცი ვლადიმერ კარპოვი კომკავშირელია. იგი მეორე კლასის მძღოლია. ჯარში გაწვევამდე მუშაობდა კიროვის ოლქის კოლმეურნეობა „კრასნაია ტალიცაში“.

ა. ხარიტანოვსკი,
(საკ. ეს. კორ.).

ოცი წლის შემდეგ

გურჯაანი. (საკ. კორ.). დიდი სამამულო ომის დროს ლენინგრადის მისადგომებზე გაჩაღებულ ცხარე ბრძოლებში დამეგობრდნენ გურჯაანელი გიორგი ზავრაშვილი და გორკელი ალექსი კალიგინი. ლენინგრადიდან ბერლინამდე მათ ბევრი ჭირვარამი გადაატანეს.

გამარჯვებულმა მეომრებმა 1945 წლის ოქტომბერში ერთმანეთის მისამართები ბლოკნოტში ჩაიწერეს და დაშორდნენ. ოცი წლის განმავლობაში ფრონტელი მეგობრები თავიანთ ამბავს წერილებით ატყობინებენ ერთმანეთს.

ამ დღეებში კურორტ ახტალის დირექტორს, ექიმ გ. ზავრაშვილს ა. კალიგინი ესტუმრა. მათ ბევრი რამ გაიხსენეს განვლილი ბრძოლებიდან. სტუმარმა ორი კვირა გაატარა გურჯაანში, დაათვალიერა კახეთის ღირსშესანიშნაობანი.

ჟურნალისტთა ბანკეტი

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის ტურისტული ბაზის ბანკეტიანი დარბაზი. ბანკეტზე ბორჯომელ ჟურნალისტებს ესტუმრნენ ბორჯომელ ტურისტებთან ერთად ბორჯომელ ტურისტ-ინსტრუქტორთა ანსამბლის ოთხი ოჯახი. ბანკეტზე ბორჯომელ ჟურნალისტებს ეს ოჯახები ანსამბლის ფინალისტ-ოჯახებად ეცნობა. ბანკეტზე ბორჯომელ ჟურნალისტებს ეს ოჯახები ანსამბლის ფინალისტ-ოჯახებად ეცნობა. ბანკეტზე ბორჯომელ ჟურნალისტებს ეს ოჯახები ანსამბლის ფინალისტ-ოჯახებად ეცნობა.

ოლიმპიადა

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანი ოლიმპიადა. ბაკურიანი ოლიმპიადა. ბაკურიანი ოლიმპიადა.